

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 9 7

ქ. ბათუმი, 28 თებერვალი 2017 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის №888 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის №888 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანებას მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>1</sup>, 5<sup>2</sup>, 5<sup>3</sup> და 5<sup>4</sup> პუნქტები:

„5<sup>1</sup>. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დააწესოს მკაცრი კონტროლი ნებართვით განსაზღვრული პირობების, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების შესრულებაზე.

5<sup>2</sup>. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს (მათ-მათ სამოქმედო ტერიტორიაზე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შესაბამის წარმომადგენლებთან ერთად გააკონტროლონ ნებართვით განსაზღვრული პირობების, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების შესრულება.

5<sup>3</sup>. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ასევე არაჯეროვნად შესრულებისას) კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებების განხორციელება. ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა უნდა აცნობოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს.

5<sup>4</sup>. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, მათ შორის გადათხრითი ქუჩების აღდგენითი სამუშაოების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ასევე არაჯეროვნად შესრულებისას) დაითვალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტზე მიყენებული ზიანის ოდენობა და აღნიშნულის თაობაზე აცნობოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიულ განყოფილებას შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის.“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი